FW: პანკისის ხეობაში მონაწილეობის საკითხი

Nino Odisharia

Mon 7/2/2018 11:44 AM

To: Sopio Barbakadze <sbarbakadze@moh.gov.ge>; Ia Orkodashvili <iorkodashvili@moh.gov.ge>;

4 attachments

პანკისის სამოქმედო გეგმა.xlsx; საინფორმაციო-კამპანია-გეგმა-კახეთი-2018_.docx; საინფორმაციო-კამპანია-გეგმა - სამცხე-ჯავახეთი.-2018.docx; z.boxua.pdf;

From: Elza Telia
Sent: ორშაბათი, 02 ივლისი, 2018 11:25
To: Tamar Barkalaia <tbarkalaia@moh.gov.ge>
Cc: Nino Odisharia <nodisharia@moh.gov.ge>
Subject: FW: პანკისის ხეობაში მონაწილეობის საკითხი

From: Tamar Beridze
Sent: 29 June, 2018 18:04
To: Elza Telia
Subject: პანკისის ხეობაში მონაწილეობის საკითხი

ელზა,

როგორც მოგეხსენებათ, სამოქმედო გეგმის ფარგლებში შექმნილ სახელმწიფო უწყებათაშორის კომისიაში ქალბატონი თამილა ბარკალაია განსაზღვრულია, როგორც კომისიის წევრი, რომელ კომისიაზეც ჩვენ ვმუშაობთ და ვაწვდით სამოქმედო გეგმებსა და შემდგომში შესრულებებს. რაც შეეხება დღევანდელ ინფორმაციას გვაქვს ასეთი ინფორმაცია, რომ დღევანდელ მთავრობის სხდომაზე გადაწყდა, რომ სამშაბათს 3 ივლისს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი გაწერილი გეგმის საფუძველზე „სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიისა და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ფარგლებშიახორციელებს საინფორმაციო კამპანიას პანკისის ხეობაში, სადაც ასევე წარდგენილია სოციალური დაცვის დეპარტამენტის, საყოველთაო ჯანდაცვისა და სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის ცენტრი. აღნიშნულ საინფორმაციო კამპანიაში სამინისტროს ჩართულობა იყო მიმდინარე წლის 21 ივნისი 23 ივნისის ფარგლებში.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კიდევ დაიგეგმა მსგავსი აქტივობა სადაც მონაწილეობას მიიღებენ ზემოაღნიშნული თანამშრომლები, ასევე ითხოვენ მინისტრის მოადგილის დონეს, რომელიც წარდგენილია როგორც კომისიის წევრი. შესაბამისად ქალბატონი თამილას დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში გთხოვთ, დაგვიდასტუროთ მისი მონაწილეობა მიმდინარე წლის 3 ივლისს პანკისის ხეობაში სადაც განხილული იქნება შემდეგი თემები, კერძოდ:
შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან, რუსთავის გუბერნიასთან, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან და სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან ერთად

,,სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგია 2015-2020 წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში მიმიდინარე წლის ივნისი-ივლისის პერიოდში გეგმავს საინფორმაციო კამპანიის ჩატარებას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სხვადასხვა თემებთან დაკავშირებით. საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში დაინტერესებულ პირებს მიეწოდებათ ინფორმაცია სამინისტროს მიერ განხორციელებული ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ, როგორც ფულადი სოციალური დახმარებების, ისე სოციალური სერვისების კუთხით. ჯანდაცვის სამინისტრო გამოხატავს მზაობას ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფო ენის არმცოდნე მოქალაქეებისათვის არასახელმწიფო ენაზე შედგენილი დოკუმენტების თარგმნაში ხელშეწყობას.

განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება სოციალური დახმარებების მიმართულებით გადადგმულნაბიჯებზე, სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სფეროში განხორციელებულ რეფორმებზე, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებსა და ,,C,, ჰეპატიტის თაობაზე.

ასევე თამბაქოს მავნებლობის შესახებ, თუ რა ზიანი მოაქვს, როგორც თამბაქოს აქტიურ მოწევას ასევე პასიურ მწეველობას ადამიანის განვითარების ყველა საფეხურზე. დამატებით მიეწოდებათ ინფორმაცია თამბაქოს კონტროლის შესახებ ახალ კანონმდებლობის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა მიმდინარე წლის 1 მაისიდან.

პატივისცემით,

თამარ ბერიძე

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის სამინისტრო
მობ: +995 555373747; 577202018.